

ნოქნოქნ

16-84

ქართული
ზოგადი

ნახ. ჯ. ლოლუასი

ხალხის
სამართლიან
გულისწყრომას
იწვევენ
უქნარები,
ტრენიები
და
ლოთები,
რომლებიც
ყდილობენ
მუშა
კაცის
საბაჭიო
წოდებას
ამოატარონ
თავიანთი
სიზარმაყე
და
უნიათობა,
თანაც
საზოგადოებრივ
პატივისცემას
მოითხოვენ
საკუთარი
თავისადმი.

კ. უ. ჩერნენკო



კაკი შვეტს ფიქრი

განათლება საშინა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან ჭელიძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-14 ტრესტის მე-10 სამშენებლო სამმართველოს დურგალთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი — მთელ ქვეყანაში ცნობილი კაცია და დღემდე ერთმანეთს არ შევხვედრივართ. არ ვიცი, იგი გამირბოდა (რა სჭირდა გასაქცევი!) თუ მე გავუბრდი (მე კიდე — ჰო!) მას. ასე იყო თუ ისე, ახლა ჩვენ ერთ მაგიდას ვუსხედვართ (ამ მაგიდაზე ორიოდ ფურცელი და კალამი დევს. დავიფიცებ, რომ სხვა — არაფერი!).

ჩვენი საუბარი ცოტა უცნაურად დაიწყო:

— თქვენ, პატივცემულო ვალერიან, ამას წინათ ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში ღმერთი ახსენეთ! გწამთ ღმერთი?

— კი, მწამს, მხოლოდ ეს ღმერთი არსებობს არა ცათა შინა, არამედ ადამიანის შეგნებაში და მას, ჩვენებურად, სინდისი, ანუ როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე უწოდებს, „პატარა ღმერთი“ ჰქვია!

— აი, თქვენ თბილისელი ბრძანდებით, თანაც — საპატიო თბილისელი. რას გიკარნახებთ ეს „პატარა ღმერთი“ მის საკუთილდღეოდ, და, საერთოდ, რა მოგწონთ და რა — არა ჩვენს დედაქალაქში?

— მე მშენებელი კაცი ვარ და, პირველ რიგში, შენობებს მივაპყრობ ხოლმე მზერას. გულახდილად მინდა ვუთხრა ჩვენი ქალაქის მშენებლობის ხელმძღვანელებს, დამპროექტებლებს, არქიტექტორებს, რომ უკეთ აკეთონ ეს დიდი და საშვილიშვილო საქმე! მოსაწყენი ერთფეროვნება — სახლი სახლისაგან ვერ გაურჩევია კაცს, კვარტალი — კვარტალისაგან!..

— თბილისელები დიდ საყვედურს გამოთქვამენ ბინების ხარისხის გამო. თქვენ, როგორც მშენებელს, ვფიქრობ, უშუალოდ გეხებათ ეს საყვედური!

— ხარისხი ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული. ერთ-ერთი პირველია საქმისადმი მუშაკის დამოკიდებულება, მუშური სინდისი.

— ესე იგი, ის „პატარა ღმერთი“, არა?

— დიას, ის „პატარა ღმერთი“! შეიძლება შეიძინო უხარისხო თეფში. მას გამოცვლი, დააბრუნებ, ანდა სულაც დაამტკრევ, მაგრამ უხარისხო ბინას ყველა ვერ გამო-



ცვლის, ვერც დააბრუნებს, ვერც დაამტკრევს (დანგრევა სხვა საქმეა!). ჩვენს ქალაქში დღეისათვის მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, მაგრამ ყველას ვერ მიაკუთვნებ თბილისელის საპატიო სახელს. თბილისელობა პროფესიააო, თქვა ერთხელ რომელიღაც მწერალმა. სამწუხაროდ, არ მახსოვს — ვინ. მაშინ ვერ ჩავწვდი ამ სიტყვების აზრს. მერე ჩავუკვირდი (რაჭველი ვარ!) და დიდებულად მომეჩვენა ეს ხატოვნად ნათქვამი.

— გამოდის, რომ თბილისელები ორ კატეგორიად იყოფიან — პროფესიონალებად და მოყვარულებად!

— სწორედ მაგის თქმა მსურდა.

— თქვენ პროფესიონალი ხართ?

— არ ვიცი. ისე, ძალიან მინდა, ვიყო!

— რა არის საჭირო, რომ პროფესიონალი გახდეთ?

— შრომა, თავდადება, უანგარო შრომა, შენი საქმის სიყვარული, შემტვევი პატიოსნება!..

— რით გამოიხატება ეს შემტვევი პატიოსნება?

— არ კმარა, მარტო შენ იყო პატრისანი! ამასთან ერთად, უნდა აიძულო შენს გვერდით მდგომი ადამიანი, მოიქცეს ისე, როგორც ჭემარიტ თბილისელს შეეფერება! მე ზოგჯერ იქამდეც კი მივდივარ, რომ მინდა, სელი ჩავავლო ავტობუსში მოკალათებულ გაბღენილ ახალგაზრდას, რომელიც მზესუმზირას ჩენჩოს აფურთხებს, და ტრანსპორტიდან ჩამოვაბრძანო. საზიზღარი სანახავია, როცა მოქალაქე ავტობუსის ბილეთს მაღლა სწევს და პეპელასავით მოფარფატე ქალაღლი დინჯად, წყნარად, უხმაუროდ ეშვება ტროტუარზე. მეზავრი კი ამაყად გადახედავს ხალხს, აქაოდა, ნახეთ, რა პატიოსანი კაცი ვარო! შაურიან ბილეთს იღებს, მანეთის საქმეს აფუჭებს და მასაც თბილისელი ჰქვია, რაკი პასპორტში ასე უწერია.

როგორც ზემოთ გითხარით, მე მშენებელი ვარ. ზოგჯერ გული ჩამწყდება ხოლმე, მიტოვებულ მშენებლობას, გათხრილ ქუჩას, სამშენებლო ნაგვით სავსე მოედნებს რომ დავინახავ!..

რამდენჯერ ითქვა და დაიწერა თბილისის მთავარი ჭიშკრების მოწესრიგების შესახებ. მე, ბევრჯერ მიმგზავრია მატარებლით. პირდაპირ აღმაშფოთებელია ის, რასაც ვაგონიდან ხედავ. რას არ ნახავთ აქ — სამშენებლო ნარჩენებს, ქვასა და ღორღს, რკინის ჯართს, ათასნაირ სიბინძურეს, და ამ დროს ვაგონის გამცილებელი რთავს რადიოკვანძს და გაისმის დიდებული სიმღერა — „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო!“ კიდევ კარგი, რომ უცხოელებმა ქართული ენა არ იციან და ამ სიმღერის ტექსტი არ ესმით. კარგია ეს, სიმღერა ყურს ატკბობს, მაგრამ თვალსაც ხომ უნდა ტკბობა?! ჩემი თავი ჯანდაბას! რა ვუთხრა სტუმარს, რომელიც აღფრთოვანებული უსმენს ამ მელოდიას და თვალი გაურბის ვაგონს მიღმა, ნაგვის გორებისა და ჩაშავებული, ჩაბნელებული ხუხულებისაკენ!..

ასეთივე მდგომარეობაა საქართველოს სამხედრო გზაზეც. სხვათა შორის, ძალიან კარგ საქმეს აკეთებს გაზეთი „თბილისი“, როცა სისტემატურად ბეჭდავს კრიტიკულ წერილებს ამ საკითხზე და ხშირად მიზანსაც აღწევს.

— „ნიანგმა“ იცის, რომ თქვენ შესანიშნავი ოჯახი გაქვთ!

— ამის თაობაზე მე ვერაფერს გეტყვით. ისე კი, ძალიან მიყვარს ოჯახი, ბევრს ვზრუნავ ბავშვების აღზრდისათვის.

ჩვენი შრომა იოლი არ არის. უნდა იმუშაო ქარში, სიცხეში, ყინვაში, თოვაში, მთელი ზაფხული და ზამთარი ღია ცის ქვეშ უნდა იყო.

— და ამის მიუხედავად ბავშვები პატარაობიდანვე მიიყვანეთ მშენებლობაზე. დღეს კი თქვენი უფროსი ვაჟი — თეიმურაზი სამუშაოთა მწარმოებელია და, ალბათ, ზოგჯერ მითითებასაც გაძლევთ!

— კი, ერთი ორჯერ იყო ასეთი შემთხვევა.

— გეწყინათ?

— ისე, სადღაც გულის გულში კი



გამკენწლა, მაგრამ არაფერი ვთქვი. ჩემი ჯილაგის სისხლი ჩქეფს მის ძარღვებში. და ეს მე მინახია. მაშა-ჩემი მშენებელი იყო. ბაბუჩაჩემი აშენებდა სახლებს. ამაზე უკეთესი პროფესია რა უნდა იყოს!

ჩემი მეორე ვაჟიც ინჟინერია და, არ ვიცი, შეიძლება, ისიც უფროსი გამხდეს. ამჟამად არმიაშია.

— ალბათ თქვენი მეუღლე და ქალიშვილიც ფიქრობენ მშენებლობაზე მოსვლას.

— ყველაფერია მოსალოდნელი!

— მერე, თანახმა იქნებით?

— ქალი რომ რაიმეს მოინდომებს, უნდა შეასრულოს კიდევ. და თუ ეს ასე მოხდა, მე ქუდი უნდა დავიხურო და გავცილდე ობიექტს. შვილების მითითებებს თუ მეუღლის ჭკუის სწავლებაც დაემატა, რა გაეწყობა, სხვა პროფესია უნდა ვეძიო.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა.

ჩვენ თავში თბილისის ავ-კარგზე ვმსჯელობდით. კარგია, რომ ვეჯიბრებით რიგას და სხვა ქალაქებს, მაგრამ რატომღაც ბევრ ხარვეზს ვხედავ ამ შეჯიბრებაში. ნაკლები სიმწვანეა ქალაქში (რა თქმა უნდა, სხვებთან შედარებით). შეჯიბრების ზოგიერთი მონაწილე ამაყად აცხადებს, ჩვენ ყოველდღიურად რამდენიმე ტონით მეტი ნაგავი გაგვაქვს ქალაქიდან, ვიდრე რიგელებსო!.. მოდი და ნუ გაიცინებ! ნაკლებია ქალაქში შადრევნები (დიდი და მცირე), რატომღაც ამ ბოლო დროს თითქმის ვერსად შეხვდებით გაზიანი წყლის ჯიხურებს!..

— ჩვენს ჟურნალზე რას იტყვით, რა შენიშვნები გექნებათ?


— მერე, რომ გაგაკრიტიკოთ, არ გეწყინებათ?

— არა, საწყენი რა არის, „ნიანგი“ ხომ თქვენთვის არსებობს და ყოველი თქვენი წინადადება, რჩევა ძვირფასია მისთვის.

— აბა, თუ ასეა, გეტყვით: არ მომწონს ზოგიერთი მასალა. მართალია, ამ ბოლო დროს იმატა კონკრეტულმა ფელეტონებმა, მაგრამ ეს მაინც ცოტაა. არ მიყვარს ზოგადი მსჯელობა ნაკლზე. სამიზნე განთებული უნდა იყოს, რომ უკეთ მოახვედროთ ჩანგალი!

ესაუბრა ივარი ტაბიძე
მეგობრული შარჟი

თ. გოგოლაძისა
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



მეჭრთამე ვაისანჯომიანი

სიფრთხილზე გეშარტებს ძალიან,
როდესაც ვიწყებთ საუბარს,
მეჭრთამეზე რომ ამდენს ვწერთ
და ვიხსენიებთ აუგად!

იგი არც მშენებელია,
არც ტრაქტორისტი გულდია,
არც ჩაის მკრფავს,
არც მწველავს,
ჯერ ქრთამი არ აუღია!

მაგრამ მეჭრთამეც კაცია,
ასე რომ ვლანძღავთ როზროსით,
მასაც შარვალი აცვია,
ხურავს ქუდი თუ ბოხოსი.

ისიც დაგვიდის ამაყად,
ყულმოღერებით, ჯიხვურად,
სვანი არ არის და ზოგჯერ
თავზე ქუდს სვანურს იხურავს.

ის აქტიურობს,
თამაღობს,
არ უყვარს თავის კატუნი,
ის კაცია და ხანდახან
კაცია უცხო ნატურის.

ლუკი, ივანიჩი,
პროკოფიჩი...
(აქ ლამის ენაც დამეხას!)
ამიტომ ვამბობ, არ ვარგა
ამდენი შეთამამება!

იმდენს ნუ ვიზამთ, სანდრო ხარ,
ოტია ხარ თუ გოგიტა, —
კაცს თავი მოსწონს და ჩვენ კი
თავს ლაფი ვასხათ კოკითა!

უთქვით, ფული შენახული აქვს
სანლის კუთხეში, კიდევში,
მაგრამ მასაც სომ ფული აქვს
და ვალიდოლი ჯიბეში?

მეჭრთამე ცოდვა კაცია,
იცის სიკომაც, იზომაც, —
დილით რომ ფულს დაითვლის,
საღამოს წნევას იზომავს!..

თუ არ შენეულა მის მიმართ
ვე რისხვა გადმონაქუნი, —
ერთ დღეს რომ თავი მოიკლას,
ვინ უნდა აგოს პასუხი?!

შოთა როყვა



„გაიცანით — მუქთახორობისა და იოლი ცხოვრების მოყვარულნი, ყაჩაღობისა და მოქალაქეთა ძარცვის ტრფიას რომ იტყვიან, სწორედ ისინი:

ზურაბ ნოდარის ძე ბერიძე (თუ სადმე შეხვდეთ, ერიდეთ!), 1958 წელს დაბადებული, თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალის მე-2 კორპუსში მცხოვრები, „საქმედტექნიკის“ ოსტატი;

ივანე სერგოს ძე ანგოზაძე, დამნაშავეთა სამყაროში „ივანე“ ცნობილი, ადრე ნასამართლევო, თემქის დასახლების მე-3 მიკრორაიონის მე-2 კვარტალში მცხოვრები, უმუშევარი;

გიკა ნოდარის ძე ბერიძე, 1960 წელს დაბადებული, ამჟამად სასჯელის იხლის ადრე ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის (ახლისთვის მერე მოხდის);

თამაზ შაღოს ძე ცანტარაძე, 1958 წელს დაბადებული, მანარაძის რაიონის სოფელ ნატანებში მცხოვრები, ამავე სოფლის ფიზკულტურული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ამ მოწინავე სოფლის შემარცხვენილი;

ბადრი ნიკოლოზის ძე ნოდარ (ახალი ანტიოპლია!) თბილისის №3 ტაქსომოტორების პარკის მძღოლი, თემქის დასახლების მე-3 მიკრორაიონის №1-ე კორპუსში მცხოვრები;

მერაბ მიხეილის ძე გიგაური (ისიც იქაური), 1962 წელს დაბადებული, პუშკინის პიდაგოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელი კურსების მსმენელი;

ილია დონოს ძე დანაშაუნი (ნაქურდალის გადა-მრჩევი), იზოტოების ქარხნის მუშა, ხელმრუდობაში არა უშავს, ნაქურდალ-ნაძარცვის რეალიზატორი;

ამ ვაჟბატონებმა თაღლითობის ბევრი გზა იცოდნენ, მაგრამ ერთი რამ დაავიწყდათ: ის, რომ ჩვენში, ადრე თუ გვიან, არც ერთი დამნაშავე არ დარჩება დაუსჯელი! აი, რა ჩაიდინეს ამ გარეწრებმა:

1980 წლის მარტში ზურაბ ბერიძესთან სახლში მივიდნენ ივა ანგოზაძე, თამაზ ცენტრაძე და ფრიად სასიხარულო საიდუმლო გაანდევს — ბარნოვის ქუჩაზე ცხოვრობს მარტოხელა ექიმი ქალი ა. პ. ბინაში ფული და ოქროსულობა აქვს და მისი გაძარცვა არც ისე ძნელიაო. ამ საქმისათვის მსუბუქი ავტომანქანა იყო საჭირო. ზურაბ ბერიძეს გაახსენდა, რომ მასთან, ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოში, ადრე მუშაობდა სანდო კაცი ბადრი ნოდარ და სასწრაფოდ მოინახულეს იგი. მათ შემოემატათ ზურაბის ძმა გიკა, მეზობელი მერაბ გიგაური და შეიმუშავეს ა. პ.-ს გაძარცვის სტრატეგიული გეგმა. იცოდნენ, რომ ექიმი ქალი შინ ხშირად ტაქსით ბრუნდებოდა და ტრანსპორტს ერთსა და იმავე ადგილას ელოდებოდა. მართლაც, ა. პ. გამოვიდა სამსახურიდან, გადაჭრა ქუჩა და ტაქსი დაუწყო ლოდინი. ზურაბ ბერიძემ ნიშანი მისცა ბადრი ნოდარს და ისიც გამოეშურა ტაქსით. ქალმა ხელი აუწია მძღოლს, გაჩერებინა და ტაქსში ჩაჯდა. იქვე, რამდენიმე მეტრის მოშორებით, გია ბერიძემ და ივა ანგოზაძემ დაიყვირეს, ვაკეში ხომ არ მიდისარო და ზურაბმა, მოლაპარაკების თანახმად, ისინიც ჩასხა მანქანაში. როცა ვაკე-საბურთალოს გზას დაადგნენ, გია ბერიძემ დანა მოუღირა ა. პ.-ს და უბრძანა, ხმა არ ამოეღო. შემდეგ წაართვა ბინის გასაღები. უმწეო ქალი

ტყეში დატოვეს, დარაჯად გია დაუყენეს, ხოლო ბადრი და ივა ქალის ბინისკენ გამოეშურნენ. გზაში მათ ზურაბ ბერიძე და თამაზ ცენტრაძე შემოუერთდნენ. შემდეგ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა — ბარნოვის ქუჩაზე, ტაქსთან, ბადრი ნოდარ დარჩა. მერაბ გიგაური გარეთ დადგა დარაჯად, ხოლო დანარჩენები სადარბაზოში შევიდნენ. ზურაბმა ლილას დააჭირა თითი. ბინაში ა. პ.-ს ნათესავი აღმოჩნდა, რომელსაც მოტყუებით გააღებინეს კარი, პირზე ხელი ააფარეს, საბნებით შეფუთეს და გაიტაცეს ძვირფასი ნივთები, ფასეულობა... სანამ ყაჩაღები ამ ოპერაციას ჩაატარებდნენ, ამა-სობაში გია ბერიძემაც ა. პ.-ს ტყეში არხეინად შეხსნა ბეჭდები, საყურეები და დატოვა ასე უმწეოდ.

ნაძარცვ-ნაქურდალი ილო დაღაშევმა წაიღო, რომელმაც 15 ლის შემდეგ მათ 10 000 მანეთი გადასცა.

თანამედროვე ყაჩაღების აღმოჩენაში იყოჩაღეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ დემურ მიქაძემ, სისხლის სამართლის სამმებრო განყოფილების უფროსმა რომან გვენცაძემ, ქვეგანყოფილების უფროსმა დავით ზეიკიძემ, უფროსმა ინსპექტორებმა — გოდერძი გვათუაშა, არჩილ არველაძემ, კარლო ბოკუჩავამ, თემურ მურდულიამ, ინსპექტორებმა — ოთარ ყაჭაშვილმა და ნოდარ ბოლოთაშვილმა.

„ჩვენი ღროის გმირები“ მალე წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე.

კამილ შარმაიანი,

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელი, მილიციის მაიორი.



ნახ. მ. აბაშვილი

უსიტყვოდ

ՀՀՀՀՀՀ Երեւան

— „სუსტია შენი
პიესა!“ —
ლანძღვა-გინებით
აიკლეს

ჭერ გავიწურა
შენი რომანი,
საქაროდ მერე
გამოგვტანა?
თუმცა, ო, არა!
წყალდიდობისგან
წაიღებება
მთელი ქვეყანა!



აგაპი ვიორა
თქველი ნაგებლავის მიწარაღური ქარხნის
მესვეურთა საყურადღებოდ
ნაგებლავიდან საჯავახო მღვ. კაი გრძ.

CPD

სულ არ აწუხებს
ხაჭვეწეო ხაჭმე,
ლოთს მოუსწრია
გადაკრა უკვირ..
ჩვენთვის შვიდი დღე
თუა კვირაში,
მისთვის რვა დღეა
და ყველა — უჭმე!

— „მახსოვს, სწორ
გზაზე
იდექი წინათ,
ახლა მერეუდ გზაზე
დაიდე ბინა?“
— „ზეწვზე გადავრჩი!
იმ პირველ გზაზე
წინ შვმაჲ კატამ
გადამიბოძინა!“

ოხურიდან თარგმნა
ავთანდილ
გურიგინიძე

[illegible]

შეშინებული უცქერის. მის კაბინეტში წიხ. მასა
უფთავა (ახე უფვარდა გედონ გედონიტეს სავარძელში
ზედა.

- რა გნებავთ? — დამარცვლა.
— მე რა გნებავს?!
— დობა, თქვენი! ღრის ნუ მაკარგევენბო!
ჩემ ადგილას ზიხართ!
— ზა, ზა, — იციანის, — ეს მე ვარ, გედე
ზართ სამსახურიდან! მიბრძნლით!
— აღმადგენენ!
— არავითარ შემთხვევაში!

გველი გველინიმემ იტონ ეს კატერინაჲს ჟოლ და
სათა წაქოთოჲაჲ გველინი გველინიმემ თვის ადგაჲს
უფროსთამ შივილიღ დამარტყემი — ამ გველინი გველი-
წმარია. მარტყე წაქოლ, — ტუთოლღ ღრის დამარტყე
გველინი გველინიმეს სიძის ზიამელითა. მაჲყენი კანბი
პროცადგარის თამგველიმარე გველინი გველინიმეს ძის
ვერსად შივალღვე.

გველინი გველინიმემ რომ ვერაფერი შიოთჲმარა,
გველინი გველინიმეს, რომელიჲ ბოლა „ნაბელღს“ მ
სარეში შიამაჲს:

— გელონ გელენიძე, ლეკმეს ოჯახი ვიცი, რა გ
გამოეღობა, თვალები დაფხვლა, შეშინებულმა სამს
ლოდ მაშინ დაიშვიდა გულ, როცა მდივანმა სიხარული
მე დაგრიხ, ყველანი შენს სანახევარ წამოვიდნენ!



— ტყუილად ელოდებით!
და ნამდვილად ეძიებთან წავიდა

ექიმბაში ცუდად გახდა:

[illegible]

აგზავნი გენარალ
ანუ
წამგზავნიანი მომჭირნეობა


პარეზიის ძაფსახვევი ფარისის მ-
ბ-მოსახლარები დიდი მოთხოვნილი და სპე-
ციალისტების მანძილზე ელექტრონულ სამრეწველო ინდუსტრი-
ის აშენებას (მშენებელი - საქართველოს მშენებლობის
ლობის სამინისტროს პარეზიის ბინათმშენებლობის
კომპანია). მშენებლობა რომ გაკეთდეს და მ-
გასრულებში უამრავი ხელისშემშლელია და ხელი
შეწყობაში მიიღო მონაწილეობა, ამის თაობაზე არ
ფერს ვიტყვით, რატომ, როგორც იქნა, დაადგა

შველი მის დამთავრებას, დღეს ეს არა ხელდასა-
მოსახლეობას იზიიშებენ.
სალაპარაკო ვახდა ერთი შეხვედით უმინიზნელ
საკითხი - იატაკი. დიახ, იატაკი, ზღნავ ბინავე
ლეონიკო იატაკი, ცემენტის საფუძვლისაგან და ლ
ნოლევისისაგან შეიშდარი.

ბა ავტოტელეფონით იყო გამოწვეული. რატომღაც
მალე ზოხიანი, სადავო გარეგნობის, მუხრანის
შედეგად, იატაკის დაღების აშკარად გახსნიდა
მშენებელმა. ის კონკრეტულ შემთხვევაში 19
წლის იყო. ავტოტელეფონის მფლობელი პირი, რომელიც
წინააღმდეგობას უწევდა, საშინაო სასაზღვრო
მმართველობის მინისტრს, მათ შორის განსაკუთრებულ
ფილიტერატორ ჰეტერეპასსს, უკვე აღნიშნულ წი-
ლად პარტიდან ერთად გამოიწვევა ლიბერალიზ-
მის განსაკუთრებულ ფილიტერატორს პარტიდან
დაღლი - ასეა ნათქვამი რაც, ჩვენი აზრით, მათ
ლუბიში ამას წინაშე: რაკი ზუხის, მაგიერინ
შეღლის და კალის პარტიკის სიმყარე, უფრო
ჭკუ ბარისთვის პარტიკად ერთად, საშინაო სასაზღვრო
მმართველობის მინისტრს, მათ შორის განსაკუთრებულ
ფილიტერატორს ჰეტერეპასსს, უკვე აღნიშნულ წი-

დავუშვათ, ჩვენ ვსაუბრობთ მიითქვამს ტექსტს
სწორ წაკითხვაში. რა მოგეგნება ნახავს ამ შემთხვევაში
შეიარა მარტო მშენებლობის სამინისტრო, არამედ
სახელმწიფო მთლიანად, რადგან პრაქტიკა სრულია
ხევის ღალატების.

ვაჟა ხალუჭვაძე
დავით ახურობაძე



ნახ. 0. უმინაზვრისა

აღმოჩენათა
იპოვებოდა

დაწერა, მერე მოჰყინა
სოფლად, ქალაქად, მთა-
რაზიკაშვილი ყოფილა
პოეტი ვაჟა-ფშაველა!..

ილიას ცოლი ახული
ყოფილა გურამიშვილის!
აქ წერტილია დახული
მორჩა ამ დარგში შიმშილს

ქართველი ბაგრატიონი
ყოფილა რუსი სარდალის
წარაფი, მწვადი, ციმორი
და — სადოქტოროც მზად

ესოვრება შიდის რაკრავი
რუსთველი შიდის ვარძია
ეს გაუმარჯოს აკაკის,
რომელიც ჭავჭავაძეა!

კანდიდატი კვერნაძე



MOND



უხიტუვლად

STEREO

აპენი ჩემი ნათლის ოჯახი დემეტრია, „ნიანგი“ რომ დამარქვა სახელად! სხვა სახელი ნამდვილად არ მომიხდებოდა, ვინაიდან, რაც თავი მახსოვს, სულ საკბილოზე მივირავს თვალს. საკბილო კი იმდენია, პირის გაღებას შევძლებდებ, თორემ ჩემს ცასავით უძირო მუცლის სვიმირას საფეკვიო წამითაც არ მოაკლდება.

ამჯერად იმათ ავაგებ ჩემს სამითთა ფიწალზე, რომლებიც უამრავი დასახელებისა და რაოდენობის ყოვლად უმწიკლესად ტანსაცმელ-ფეხსაცმელსა და



სხვა სახის ნაწარმს ამზადებენ ბავშვები-სათვის, რითაც, სამწუხაროდ, თავს რომ იჭრიან და იჭრიან, კიდევ უფრო სამწუხაროდ, თავს სჭრიან საქართველოს — ქვეყანას, რომლის საფეიქრო საქმის არნახულად მაღალი დონე ჯერ კიდევ უსსოვარდროს იყო ცნობილი მთელს ცისქვეშეთში. ამის დასტურია ძვ. წ. XXV—XX საუკუნეებსა და შემდგომდროინდელ საქართველოში დამზადებული საფეიქრო ნაწარმის არქეოლოგიური ნაშთები, უცხოელ ისტორი-

ტროს პოედიანოვის სამკერვალო ფაბრიკის თანამოსამქმნიც, რომლებსაც სავაჭრო ბაზისათვის 109.627 ცალი ტრუსი გაუგზავნიათ და მათ შორის 71,2 პროცენტი უკარგის გამოდგარა!

როგორც სწავლულებისაგან ვიცით, ტრუსი იმ მწკნე და დიდფარფლებიანი ფოთლის მკვეთრად გაუმჯობესებული ფართო მოხმარების საგანია სირცხვილის გრძნობის გაჩენისას, სასირცხვო ორგანოს დასაფარავად რომ გამოიყენა უსსოვარდროინდელმა ადამიანმა. „შე მართლა ნიანგო, აგრე თუა, ჩვენი შეკერილი ტრუსები ფოთლებს აღარ სვლიანო?“ — მეტყვიან უხარისხო ტრუსების მწარმოებლები, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყვი: ახლა, ამ ფანტასტიკურად განვითარებულ, ე. წ. კოსმოსურ დროს, სერიანო ტრუსი რომ ვერ შეკერო, ყველა ჭკუათმყოფელი დამეთანხმება, სირცხვილია, დიდზე დიდი სირცხვილი! კიდევ მეტი: საშიშიც კია, ცივილიზებული საღისის შიდა სამოსის ეს მეტად საჭირო სახეობა ისე არ გამოვიდეს ხმარებიდან, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინ მამრთა მაისური და მდედრთა კომბინეზონები. დიან, როგორც ხდება, უწინარეს ახალგაზრდები, შემდეგ კი ხნიერებიც, თავიანთ მოსაწონ ტრუსებს რომ ვერ შეიძენენ, იტყვიან შარვლები რომ გვაცვია, ქვედა საცვლები რაღად გვინდომ და, უნახურადა-უკომბინეზონობასთან ერთად, უნიფორმებზე შემოვა მოდაში! სხვათა შორის, უნიფორმა აღრევ კაი ხანს ყოფილა მოდაში, მაგრამ ეს შესაფერისი სამკერვალო ქსოვილების უკმარისობით ყოფილა გამოწვეული. ახლა, როცა სასაცვლე ქსოვილე-



მათადამა მიძღვნილი: „ერთ დღეს ბავშვთა სამყაროში შეიყვანა დედამ ლელა, ბაღში მხერა ერთ უნაურ თოფინაზე შეაჩერა. გამყიდველმა კითხა ყმაწვილს: — რას უყურებ, მოგწონს, შეილო? — არა! — რატომ? — იმიტომ, რომ თავით ვირს ჰგავს, ტანით — სპილოს!“

საბავშვო ნაწარმის დაუდევრად დამაზადებულებს კბილი თავდაპირველად იმიტომ გვაკარა, რომ ღვდამწის სვლინდელი ბატონ-პატრონების ქობავი და გამოსარჩელებელი ვარ. დიან, მე, ისე როგორც სხვებს, მთელი ცისქვეშეთის. მომავალი მიყვარს, მაგრამ ქვეყანაში, სადაც სამი სიტყვა — „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!“ — დიდებულ მოწოდება-ლოზუნგად აღაქმული, მოზარდებს განსაკუთრებულ პატივს ვცემ და მათ აბუჩად აგდებას კაცი-შვილს არ ვაპატიებ!

ყველაფერი არასუხეშად — ზეშეშ?

კოს-მოგზაურთა (პეროლოტი, ქსენოფონტი, სტრაბონი და ა. შ.) წერილობითი წყაროები, ფარნავაზის დიდებული ანბანით დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები თუ მატერიალურ-მონუმენტური კულტურის ძეგლები, აგრეთვე მატყლის, ბამბის, სელის, აბრეშუმისა და, რაც მთავარია, ოქროსა და ვერცხლის მექანისაგან დამზადებული ტანსაცმელ-ქსოვი-ლა ან ცალმობრივ ნაკეთობათა დღემდე ღალად მოღწეული ნიმუშები, რომლებიც მრავლად ამჟღავნებენ ქართული ეროვნული მუსუშსაცავების ფართო დარბაზებს.

ახლა და კარგს ერთმანეთისაგან სულაც რომ ვერ ვანსხვავებდვ, შემოწმებული ორგანიზაციებისა და გამსაღებელი ბაზების მასალაზე თვალის უბრალო გადავლებითაც „ჩემთვის დღესავით არის ნათელი“, რომ პატარა მომხმარებლებს უმეტესწილად ტანსაცმელ-საცვლების შემართვაები (დიან, შემართვაები და არა შემკერვაები და სათამაშოების დამაზადებლები) იგდებენ აბუჩად. აბა, სხვას რას უნდა მიეწეროს ის მეტად არასასიამოვნო ფაქტი, რომ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საშურის რაისამრეწველო კომბინატმა „საქტანსაცმელვაჭრობის“ ზაზას 19 ათასი ტრუსი გაუგზავნა მამაკაცის ტრუსებთან ერთად, და ყველა უხარისხო აღმოჩნდა! ბავშვების გაცურებაში საშურელე-ბმა რატომ უნდა გვაჯობონ, თხა თხაზე ნაკლები მეგლმა შეჭამოს! და — სოსუ-მის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატელს უფრო უარესად დაუმახინჯებით ისეთივე სახის ნაწარმი!

საშურელ და სოსუმელ წუნისმკეთებ-ლებს მხარში ამოსდგომიან იმავე სამონის-

ბი არამცთუ საქმაო რაოდენობით, უხვადაც კი გვაქვს და ვინდა აღარ აფუჭებს სასირცხვილო მოდის ხელახალ დამკვიდრებას, სრულიად სამართლიანად, წუნის-მკეთებლებს დავაბრალებ. წუნისმკეთებ-ლებს დავაბრალებ იმდროინდელი საღან-ძღავი სიტყვების — „პატი, შე უნიფსო“ (ამჟამად მხოლოდ ბავშვების მოსაფერებ-ლად რომაა შემორჩენილი) აღდგენასაც და სასტიკად დავსჯი მათ.

სამკერვალო საწარმოები, რომლებიც ხეირან ტრუსებს ვერ ამზადებენ, ვიმეორებ, ტრუსებს, რომელთა შეკერვა სულ ადვილი საქმეა, სხვა დანიშნულების ბევრად უფრო რთული მოდელისა და ფასონის ნაწარმს, როგორ ფიქრობთ, უნაკლოდ შეკერავენ? ჩემს დასმულ კითხვას მევე ვუპასუხებ: რა თქმა უნდა, ვერ შეკერავენ!

მინდა შოლტი გადავუტყლაშუნო საქა-ღელმრეწველობის სამინისტროს თბილისის სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სი-ნარულის“ წუნისმკეთებლებსაც, რომელთა უთავობით შარშან ორი სახის სათამაშოს ჩამოერთვა უმადლესი ხარისხის საპატიო სტუტუსი, ამასთან დაკავშირებით პატარ-სატირულ ლექსს გავისინებ, რომელიც



გულით მსურს, დიდებისათვის გათვა-ლისწინებული უვარგისი ფართო მოხმარე-ბის საქონლის ვაიმწარმოებლების სა-ლანძღავი სიტყვაც აქვე ვთქვა, მაგრამ საქ-მეები, როგორც იტყვიან, თავსაყრელად მაქვს და ამაზე სხვა დროს შევიწუხებ თავს!

ახლა კი ჩემს გულისწყრომას ერთი ნიანგურ-ჭკვიანური რჩევა-ღარიგებით, ანუ რეკომენდაციით დავამთავრებ: მე ძალიან მომწონს თაშამი, გაბედული და შემბრა-ლებლური მოწოდება-შეგონება, რომელიც სიგარეტის კოლოფს აწერია: „...მოწევა თქვენი ორგანიზმისათვის მავნებელია!“ პოდა, კარგი იქნება, თუ ბავშვებისთვის გათვალისწინებული ტანსაცმლის, ფეხსაც-მლისა თუ სხვა სახის დამაზინებელი ნა-წარმის იარაღებზე თუნდაც უპატარავესი შრიფტით მაინც დააწერენ: „ნუ ჩაიცვამთ, დაგაუწნოთ!“ ან: „სათამაშო არ გეგო-ნოთ, საფრთხოვანია!“ და ა. შ.

ამ გულბრყვილობამ თუ გულმართლო-ბამ შესაძლოა ვაიმწარმოებებს სარგებე-ლიც კი მოუტანოს — მდარე ხარისხის სა-ქონელმა მყიდველი არამცთუ დააფრთხოს, პირიქით, ისე მიიზიდოს, როგორც თივით გატენილი სიგარეტი იზიდავს მილიონო-ბით მწეველს. ეს ასეც იქნება: ადამიანთა უმრავლესობა ოდითგანვე ხომ იმას ელტ-ვის, რასაც უკრძალავენ ან უშლიან!..

„ნიანგის“ საუბარი ჩაიწერა
შირი გუსელაშვილი
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



მეკითხებიან: ბოროტის
რაა არსობის პური?
ბოროტს ვინ უძმობს ბოლომდის?
ვპასუხობ: მხოლოდ შური!

— ღმერთს ცამდე რად მისდიესო?
რა იყო მისი ურვა?
ჯვარს რამ გააკრა იესო?
— ბოროტებამ და შურმა!

— რამ აღაშფოთა რუსთველი?
რამ გადახვეწა შორსა?
რას უნგრევია უნგრევი?
— ბოროტებას და შურსა!

— რას ინატრებდი პირველად,
რისი მოსპობა გსურის?
— რა არის გასაკვირველი:
ბოროტების და შური!

— შური გულს ნაღველს იკეთებს, —
მართალია თუ ჭორი?
— ნიჭის სვედრია სიკეთე,
უნიჭო კვდება შური!

— ქვეყანა როდის იქცევა?
ღრუბელი როდის გებურავს?
— როცა სიკეთე იქცევა
ბოროტებად და შურად!


როდემდის უნდა უქნით
ამირანს თქვენი ურო?!
საფლავში როდის მოგაქცევთ,
ბოროტებად და შურო!

გიორგი სორგუაშვილი



ნ.ს. შ. ლელაჩიას


— მოწყალეო ბატონო! მოდი,
თავი დაუანებოთ ამ ქარის წის-
ქვილებთან ბრძოლას და უფრო
სერიოზულ საქმეს მოვკიდოთ
ხელი: ქუთაისში ერთი ავტონა-
წილების მაღაზია გავხსნათ!..



უსიტყვოდ



უსიტყვოდ



ნ.ს. სოსო დარჩიანაშვილისა

დაჯიბრებები

ლაკონიზმი

- მკვამნაზე რამდენია სულელი, რომელსაც სიცოცხლეში არც ერთი ხისულელე არ ჩაუდენია.
- ტარბი მოთხოვრა არასოდეს მთავრდება.
- გაუმარჯოს მადიებლებს — ხალხს, ვინც რისკავს, რომ ვერ იპოვოს.
- მხოლოდ ფხიზელ გონებას შეუძლია შექმნას რაიმე თავბრუ-დამხვევი.
- როცა თავს ზედმეტის ნებას ვაძლევთ, ბევრს ვკარგავთ.
- სანამ მზეზე თბები, ნუ იტყვი აუგს მის შავ ლაქებზე!
- პატს არ შეუძლია დაკარგოს ავტორიტეტი, თუ მით არ სარგებლობდა.
- თუ პატმა არ იწყინა თქვენი ხუმრობა, ეს ნიშნავს, რომ მას აქვს იუმორის გრძნობა. თუ იწყინა, ეს კი ნიშნავს, რომ ჩაუხვდა მის აზრს.
- ტარბად იცინის ის, ვინც ვერ მიხვდა, თუ რაზე იცინიან.
- წლები მით უფრო სწრაფად მიქრიან, რაც უფრო ნაკლები რჩება საწვავი.
- ყველამ იცის, როგორი ბრწყალები აქვს სატირიკოსს, მაგრამ არავინ იცის, როგორი ნაფხაუნები აქვს.
- ურთიერთობები გართულდა: შენ — მე, მე — მას, ის — შენ.

„ლიტერატურაშია გაუბა“

უკანასკნისმგებლო პასუხების პასუხად

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

„ნიანგში“ რომ კრიტიკულ-მამხილებელი წერილები ქვეყნდება, როგორც წესი, რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელობისაგან, ან გაკრიტიკებული ორგანიზაციისა და საწარმო-დაწესებულების მესვეურებისგან რედაქციაში მოდის პასუხი იმის შესახებ, თუ რა ზომებია მიღებული ამ მასალის ყურნალში დაბეჭდვის შემდეგ. ზოგი პასუხი დროულად მოდის, ზოგი — გვიან, ზოგჯერ სულაც არ გვიგზავნიან და სჭირდება შეხსენება, ან, თუ მოდის, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. „ნიანგს“ არ შეუძლია ყველა პასუხი შეამოწმოს, მაგრამ ზოგ მათგანს შეუმოწმებლად ეტყუა, რომ ფორმალურია, თვალის ამხვევია, ლიალურია. გვაცნობთ რამდენიმე ასეთი პასუხის მაგალითს (ყველა პასუხის სტილი დაცულია).

1984 წლის № 2 „ნიანგში“ მოთავსებულ წერილში „მიეც ტყუილსა გზა ფართო“ მოხსენიებულია „თბილისისა ცემლავაჭრობის“ № 22 (გამგე ვ. ხვისტაძის), № 29 (გამგე თ. ტაბატაძის) და № 33 (გამგე ვ. სულაქველიძის) მაღაზიები. № 22 მაღაზიაში მოლარე-კონტროლიორ ვ. მამიაშვილს შემოწმებისას ნავაჭრითანა პქონდა 164 მანეთი და 21 კაპიკი. სალარო-საკონტროლო აპარატის მაჩვენებლებსა და ნავაჭრითანას შორის აღმოჩნდა სხვაობა 1 მანეთი და 77 კაპიკის ნაკლებობით. ამის გამო გამოეცხადა შენიშვნა (ხაზგასმით ყველგან ჩვენია. ვ. ც.). ასევე მოლარე-კონტროლიორ ე. მელაიძეს 705 მანეთისა და 20 კაპიკის ნავაჭრითანაში, სალარო-საკონტროლო აპარატის მაჩვენებელსა და ნავაჭრითანას შორის სხვაობისათვის 2 მან. 10 კაპ. ნაკლებობით, გამოეცხადა შენიშვნა.

თბილისისა ცემლავაჭრობის დირექტორი: ვ. ს. ბუაძე.

კომენტარი ზედმეტია! სჯობდა, ასეთი პასუხი სულაც არ გამოგზავნიან!

„ლენინის სახელობის რაიკვებავაჭრობის 1983 წლის 5 ნოემბრის № 378 ბრძანებით № 25 მაღაზიის მოლარე-კონტროლიორს ლ. ა. მარკოზაშვილს სალარო-საკონტროლო აპარატის მაჩვენებლებსა და ნავაჭრითანას შორის 1 მანეთი და 40 კაპიკის დანაკლისისათვის მიეცა შენიშვნა, ხოლო № 25 მაღაზიის გამგე ზ. ვ. თეთრუაშვილს დევალა გააძლიეროს კონტროლი თანამშრომლების მუშაობაზე, არ დაუშვას ვაჭრობის წესების დარღვევის არც ერთი ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯება მკაცრად უშუალო დამნაშავე პირთან ერთად თანაბრად.

№ 25 მაღაზიის მუშაობა ჩვენს მიერ აყვანილია კონტროლზე.

ლენინის სახ. რაიკვებავაჭრობის დირექტორი: ა. ლორთქიფანიძე.

შემსრ. ა. თიკანაშვილი.

ეს პასუხიც მოვალეობის მოხდის მიზნითაა დაწერილი.

„გაცნობებთ, რომ მ/წლის იანვრის თვის № 2 (1660) ჟურნალ „ნიანგში“ გამოქვეყნებული იყო კრიტიკული შენიშვნა ჩვენი სისტემის ომის ინვალიდთა და მონაწილეთა № 22 მაღაზიის მუშაობის შესახებ. აღნიშნული მაღაზიის მუშაობა შესწავლილი იქნა ვაჭრობის დირექციის და რაიონის აღმასკომის კომისიის მიერ. გატარებული იქნა რიგი ღონისძიებები. მაღაზიის დასაქმებული პერსონალი მთლიანად იქნა შეცვლილი, დაისახა ღონისძიებები ომის ინვალიდთა და მონაწი-

ლეთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

კიროვის რაიონისათვის ვაჭრობის დირექტორის მ/მ: ე. წერეთელი.

ჭერ ერთი, ამ პასუხიდან გაურკვეველია, კონკრეტულად რა სახელი დაედოთ დამნაშავეებს. არც მათი გვარებია მოხსენიებული. თუ მაღაზიაში დასაქმებული პერსონალი მთლიანად „იქნა შეცვლილი“, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს პერსონალი მოხსნილი ან გადაყვანილია სხვა ადგილზე, ან კიდევ დაქვეითებულია. ერთი სიტყვით, კონკრეტულად ვინ როგორ დაისაჯა, ჩვენთვის გაუგებარია და ზოგადად გვწერენ, „გატარებული იქნა რიგი ღონისძიებები“. მაგონ, ამ ზოგად ფრაზაში დამარხული ძაღლის თავი...

საერთოდ კი, ზემოჩამოთვლილი პასუხები უნდა გამოგზავნიან სახალხო დეპუტატების რაიხაზებს აღმასკომებს, ან თბილისის ვაჭრობის სამმართველოს ხელმძღვანელობას.

ბორჯომის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტიდან გვწერენ:

„თქვენს მიერ გადმოგზავნილი ანონიმური წერილის საფუძველზე გაცნობებთ, რომ კომპლექსურად შევამოწმეთ დაბა წალვერში განლაგებული საგაყიდვო ობიექტების მუშაობა. უხეში დარღვევები არ გამოვლინებულა. გამოვლინდა ზოგიერთი ნაკლებობა, რომელთა შესახებაც წალვერის სადაბო საბჭოს აღმასკომთან და საგაყიდვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად ვიმსჯელებთ და დავსახავთ მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს. გავაძლიერებთ კონტროლს წალვერში განლაგებულ მომსახურების სფეროს ობიექტებზე, ან საქმეში უფრო აქტიურად ჩავაბამთ წალვერის სადაბო საბჭოსთან არსებულ სახალხო კონტროლის ჯგუფს. უხეში დარღვევების გამოვლინების შემთხვევაში დამატებით გეცნობებით.

კომიტეტის თავმჯდომარე: ზ. გ. გოგოლაძე.

პასუხი მოვალეობის მოხდის მიზნით უნდა იყოს დაწერილი, თორემ სჯობდა, ჭერ ემსჯელათ, დაეხსახათ, გაეძლიერებინათ.

ნათ, ჩაებათ, გამოეცვლინათ და პასუხი მერე გამოგზავნიან!

„ნიანგის“ ამა წლის მე-9 ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „მზის საათით“. მასში გაკრიტიკებული იყო მარნეულის რაიკავშირის მაღაზიები, რომლებიც უხეშად არღვევენ მუშაობის რეჟიმს. ამ წერილის თაობაზე „ნიანგმა“ მარნეულიდან ასეთი შენაარსის პასუხი მიიღო:

„სტატია „მზის საათით“ განხილულ იქნა რაიკავშირის გამგეობის სხდომაზე, რომელზედაც სამომხმარებლო საზოგადოების ყველა თავმჯდომარეს დაევალა შეამოწმოს წერილში დასახელებული მაღაზიების მუშაობის მდგომარეობა და დამნაშავენი მკაცრად დასაჯონ. კრიტიკა გვცნით სამართლიანად გაფრთხილებულია სამომხმარებლო საზოგადოებათა დახლის მუშაკები. ისინი თავიანთ თავზე იღებენ მაღაზიების მუშაობის რეჟიმის დაცვაზე პასუხისმგებლობას და ამ რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში დაიხსნებიან მკაცრად, თვით სამსახურიდან მოხსნითაც კი. ჟურნალის კრიტიკული შენიშვნა სამართლიანია და დამნაშავეთა მიმართ მიღებულია დისციპლინარული სასჯელის ზომები“.

პასუხს ხელს აწერენ მარნეულის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვაჭრობის დარგში რ. დ. ორუჯოვი, პარტიურ-მდივანი ს. მ. მკრტიჩიანი და პროფკავშირების ადგილობრივი თავმჯდომარე ნ. ა. ალიევი.

საინტერესოა! ჭერ გვწერდნენ, რომ გაფრთხილებული იარაღი და თუ მუშაობის რეჟიმს დაარღვევენ, სასტიკად დაიხსნებიანო, შემდეგ კი — დამნაშავეთა მიმართ მიღებულია ზომებიო. მოდი და გაიგო, რომელია ტყუილი და რომელი — მართალი!


რედაქციაში გამოგზავნილი ასეთი უპასუხისმგებლო პასუხების პასუხად „ნიანგში“ მთავტორებს შეახსენებს, რომ მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ და სათანადო პასუხი აგონ თავიანთი ხელით დაწერილზე!

პალო ცინცაძე



ნან. ა. პანდელესკისა

— თუ ყოველ დაკლებულ გრამზე ასე გაწითლდა, ნაღდად გაუჭირდება ჩვენთან მუშაობა!



უსიტყვოდ

გიჟროკრატები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩერ იყურეუბენ,
იყურეუბენ შავ, ბნელ კარებთან,
და, როცა შენი გადაგხდება, შეხვალ უფროსთან.
გამოგესხმება თითქოს უფროს ფრთა, —
ისე შეგხვდება, შემოგცინებს, — შეგეხარება..

— კი! — ყველაფერზე დაგთანხმდება, — კი, კი, ბატონო!
ო, როგორ არა!
გავაკეთებთ აუცილებლად!
... და შენს ცხოვრებას — გაუხარელს, გაუცინებელს, —
გგონია, — ახლა გამოუჩნდა შემწე, პატრონი!

გავა ხანი და...
ვისლა ახსოვს დანაპირები!
შენი უფროსი თურმე მაშინ სხვაზე ფიქრობდა!
თურმე თავის თავს ატყუებდა მაშინ თვითონაც!
მოიწყენ ისევ!.. ისევ შენთვის განაპირდება!..

... არის უფროსის უფროსი და
იმ უფროსის უფრო უფროსიც! —
ზოგან რიგია!
ლოდინია!
და ყურეუტია!
ბედი გექნება მუდამ ობლის, მუდამ უფროსის, —
იმ უფროსებთან ლოდინს ღროზე თუ არ უტიე!..

თეიმურაზ აბულაძე

თსოვნიტა და მხოლოდ თხოვ-
ნით მოგმართავ, ძვირფასო რედაქცი-
აჲ! შევლას ვითხოვ, გესმით, შევლას!
მთელი პლანეტა ითხოვს შევლას!
მაგრამ ამაზე შემდგომ. სჯობს ყვე-
ლაფერი თავიდან დავიწყო და ყოვე-
ლივე წვრილად გიამბო.

ლექსის წერის სურვილი მაშინ გამ-
ჩენია, დედა რომ აკვანს მირწევდა. მას
შემდეგ მაწაღებს ეს „ჭია“ და მოს-
ვენებას არ მაძლევს. არაფერს არ და-
ვიძალავ და იმასაც გეტყვი, რომ, აი,
უკვე ოცდაათი წელი მისრულდება,
შარშანდღამდე არაფერი დამიწერია,
მაგრამ შარშან... შარშან გაზაფხულზე
გაუთენდა სამყაროს ბედნიერი დღე!
მე დავიწყე წერა!..

დავიწყე მარა რა დავიწყე!..
ალბათ მიხვდით, აქამდე რომ არ
ვწერდი, რამდენი ვნება მივაყენე ქვე-
ყანას! ალბათ ძალიან დაგაინტერესათ,
არა?

როგორც იქნა, ვიპოვე ჩემი ნამდვი-
ლი და მკვიდრი ადგილი ცხოვრებაში.
ჩემი საქმეა თეთრი და მხოლოდ თეთ-
რი ლექსის წერა! ვერლიბრი! ან ფერი
რანაირი შევარჩიე, ჩემო საყვარელო
„ნიანგო“. მაქვს თუ არა გემოვნება?

დღეში ვწერ ოცს, ოცდაათს, ზოგჯერ
ორმოცსაც (როცა შემოქმედებით წვას
განვიცდო).

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი
ახალი შედეგებიდან წარმოვადგენ ნაწ-
ყვეტებს და ცხადად დაინახავთ ჩემს



ტალანტს, რომელსაც გულგრილობისა
და დაუდევრობის გამო გამოცემლო-
ბები და ჟურნალ-გაზეთები ჯერ კიდევ
სათანადოდ ვერ აფასებენ.
მამ ასე, დავიწყეთ:

„სამყარო ნელთბილად იკლავება
და მატლივით იზლანება,
როდესაც ჩემში გამოზრდილი
სქელი ღრუბელი
ბლანტ სითხეხავით უერთდება
მევი-
რალ-
ბას!“

ან კიდევ:

„ბროწეულები მოიხსნა ხემა,
მე ვზივარ წითელ ბროწეულებში
და ყველა მარცვალი იგივე მე ვარ.
მადლობა ამ საჩუქრისათვის,
რამეთუ შენ შემტყორცნე
ბროწეულის ამ ველურ
თაყს ხმაში“.

ან:

„მშიშარა ციყვები
გულჭრელა მგლებთან ერთად
დახტიან,
სკუპ, სკუპ, სკუპ“.

ხომ გოცდები, ძვირფასო რედაქციავ
როცა შეიტყობ, რომ ჩემი ყოველი
ლექსი ყოველდღე არ იბეჭდება და
ყოველ წელს არ იცემა წიგნად. ჯერ
კიდევ ხელნაწერად მიძევს ჩემს უჯრა-
ში უკვდავი პოემა „გადმოღვართ-
ქაფება“. მაქვს ახალი ლექსების
ციკლი „ვურძნები მთვარეზე“, სადაც
ნათლად ჩანს, როგორ ესახება ჩემს
დღიად გონებას, თუ რანაირი მონდომე-
ბით მოუვლიან კახელი მევენახეები
ვაზს ვაკუმში. გამოუქვეყნებელი მაქვს
„აზრები... აზრები...“

შველას ვითხოვ, სანუკვარო რედაქ-
ციავ!

იქნებ მოუხერხო რამე ჩემს გასა-
ჭირს — ეს ხომ დედამიწის გასაჭირია!
სამყარო ითხოვს შევლას!

ლ. მესხიშვილი

ნატოს შეიარაღებული ქალები



КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ნ. ბ. შოთაშვილი

გაზეთი

საბჭოთა კავშირისთვის
ნაწილი „ნიანგი“ № 15
(1674) აბრეშტო. გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლშაქოვი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
გაბუა ამირეჯიბი, ნოზა
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-
ვაზ თვარაძე, გეგა ლო-
ლუა, ნოდარ მაღალაშვილი
(მხატვარი - რედაქტორი),
ალექსანდრე ხაჩიკიანი,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჩანუდ ჩარკვიანი, თამაზ
წიფიშვილი, ნაფი ქუთხიძე.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გაღივება ასაწყობად 24.7.
84 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 22.8.84 წ. ქალა-
კის ზომა 60 x 90/4.
ფინიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, საალოცხვო-საგა-
მოშემოთ თანაბნი 1,7, სა-
ქართველოს კმ ცკ-ის გი-
მოშემოთ ლენინის, 14
შეკვეთა № 1631. ფე 08175.
ტირაჟი 135.300. შექმნილი
გამოცემის თვეში რეკლამა
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. ტელ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეობის —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ.
მუშაების — 99-02-38,
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

სატირა - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(на грузинском языке).
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კახიკი
050000 76137